




ს ვ ა ლ ი



საქართველოს, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაზობიანი გაზეთი გამომდის ყოველ კვირა დღს
№ 47 ნოემბერი 10 1896 წ. № 47



თბილისის სახაზინო თეატრი.



ჩვენი გულგრილობა.

ათშაბათს, 6 ნოემბერს, ქართულმა დამატრულმა დასმა წარმოადგინა ა. ცაგარლის კომ. „ცამბირული“ და ეოდევილი „სოლ-ქპრობის წინააღმდეგ“, ჩვენი საუკეთესო არტისტების მონაწილეობით. საუბედურაოთ თეატრის ზალა წარმოადგენდა ზღვას... ცარიელობისას, ანუ, უკეთ რომ ეთქვად, მომკილ ყანას, პირსა ზედა რომლისასა, აქა-იქ, მწუხარეთ და კანტი-კუნტათ აღიზარებოდენ განკერძობებული მაყურებელი, „ვითა ობოლნი ღერნი, მომკალთავან დავიწყებულნი“, წარბოდგენის გათავებისას ერთი არტისტის მსჯელობას მოგვარი ყური: „ბევრი დაიწერა ჩვენ ღირსება-მოქმედებაზე, ახლა დროა ჩვენი საზოგადოების ყოფა-ქცევის წინააღმდეგ მიაქციოთ მახელინი წვერნი კალამთა თქვენთაო“. მართლაც, ჩვენი საზოგადოება მახელი კალმის წვერზე აქმის ღირსია, პატრონი რომ ჰყავდეს. ერთობ ცივათ, გულგრილათ ეკიდება ამ ბოლო დროს ქალაქელი ქართველობა თავის თეატრს. კანტიკუნტ დეპუტატებს ჰგზავნის თეატრის ზალაში და აპიტრამ დღეს თეატრის სრულ ბატონათ გაბდა ყოველთვის საყვი და ყოველთვის აღტაცებულთ უმაღლეს-უკიდურესი „ქანდაკა“. მეტი გზა არ არის, ჩვენი საზოგადოებისაგან უგულვებელ-ყოფილს ქართულ დრამატულ ხელოვნებას ეს-და დარჩენია, ქანდაკაზე უნდა შესკუბდეს და, ბინდ-მოსწრებულ ვარისს მსგავსათ, თავი იღლიაში ამოიდოს და სანეტარით განსიყვოს.


სად გვესმის ჩვენ დღეს გაბმულ-ქართული, გადუპარუსკებული ბასნი? თეატრა და სხვაგან არსად^{მე} და სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ამ გარემოების პატივისცემის გულისათვის ნუ შევასკუბებთ, ბატონებო, ჩვენ ქართულ ენას ქანდაკაზე.

ჩვენი საუკეთესო არტისტთა ნიჭის სხივები საცოდავთ და უნაყოფოთ იფანტებოდენ თეატრის ზალის ცარიელებაში. ქ. საფაროვის თამაშის თვისუფალი, კვლუტ-კამაჩა ხმოვანება—გასლდათ ხმოვანება კამაჩათ მოკვლუტ უღაბნოსა შინა. ბ. ვ. აბაშიძის ცოცხალი ვაჭარ-მახუთიანიობა ტყუილა-უსარგებლოთ ინტეროდა სიერცემი, როგორც იმავე უღაბნოს^{მე} ქეშაში შხაუნა წვიმა. ბ. გედევანოვი ზომლომი იყო, ამ უღაბნოს სრული ბატონი და მისი უზანესი, კინტოური ყვირილი—დიად თვესუფალი და მძლავრი ყვირილი იყო წილის შინა ცარიელობისას^{მე} და ამ ლომსა ბოლოს აუღვა ლავამი ქ-ნ საფაროვის თამაშის „დუშინკობა“ და ხმაუ მოულობო და

დაუშოშინა. ბ. გამყრელიძის გრძობიერი თამაშიც შინათქა ამ უღაბნომ და ბ. კანდლაკი^{მე} დააშინა ერთობ, რაიცა მის მიხერა-მოხერაში გამოსკვედა.

ქ. კარგარელის თამაშს სიციხლე აკლდა, და ვისთვის რა საჭირო იყო? ახალ არტისტკას, ქ. კუნდელს, თავისუფლათ ეჭირა სკენაზე თავი: ან ეისი უნდა მორიდებოდა?

მგონი ჩვენი საზოგადოება იმ მომენტს ელის, რომ ჩვენმა თეატრმა უქანასკნელი „მიშველთა“ დაინახოს, მაშინ ეგებ გმირულათ სტაკოს კოჩორაში ხელი და დღუფულობის მოგრედან ამოზიდოს. ესეც ერთგვარი გმირობაა. ღმერთმა ხელი მოუშარ-თოს!



სხვა-და-სხვა ამბები.

ქალაქის ზოგიერთ ამომრჩეველებს, „*Нон. Офиц.*“ სიტყვით, შეუდგენიათ სია ხმოსნებისა, რომელნიც უნდათ გაიყვანონ მომავალ 1897 წლის არჩევნებზე. ქართველებს რა წილს დაუთმობენ ამ არჩევნებზე, ღმერთმა უწყის.

იანვარში უნდა მოხდეს ერთი დღის საყოველთაო აწერა. 17 კომისიის წევრი და სამი კანდიდატი მათთან უკვე ამორჩეულნი არიან ამ დღებში პოლიციებისტრის მასტრაციის თავმჯდომარეობით მომხდარ კრებაზე. ამ ამორჩეულ პირებს თინხმაზა გამოუსხადებათ და წარდგენილნიც არიან გუბერნატორთან დასატყვიებლათ.

მომავალ 1897 წლიდან არსდება კიდევ 54 ადგილი ხარჯთ ამკრეფთა ინსპექტორების (пожар. инспек.) და 150 მათი თანამეშვეებისა. ამ უქანასკნელებს ჯამაგირი დაენიშნებათ 1200 მ. და 300 მ. წასვლა-წამოსვლის ხარჯათ.

სოფ. უღედან (ახალციხის მაზრა), გეცნობებენ, რომ 23 ოქტომბერს გარდაიცვალა პავლე სტეფანეს ძე მერაიშვილი, ცნობილი მთელ იქით მაზრაში, როგორც ქველ-მოქმედი და განვითარებული კაცი, ხალხი თურმე დამარხვის დროს ერთ ხმით გაიძახოდა: „ჩაეიდა მზე ობოლთა და ღარიბთაო“. (?)

* *

ყიზლორის ახლო თურქე ცხოვრებენ ბევრი ქართველი ყაზახები, რომლებმაც არ იციან ქართული წერა-კითხვა; ახლა იქაურ მასწავლებელს უთხოვნია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ რამდენიმე ანბანი და დედაენა. იმედა „საზოგადოება“ დაკმაყოფილებს მათ თხოვნას.

* *

სურამის და თბილისის საფილოქსერო დასებმა უკვე შესწყვიტეს მუშაობა.

* *

გაზ. „Приаз. Кр.“-ში მოყვანილია ცნობები საფარბიკო მრეწველობისა ყუბანის მაზრაში და შავი ზღვის ოლქში, სადაც 1895 წ. სულ მოქმედებდა 8,844 ფაბრიკა და ქარხანა, რომლებშიაც მუშაობდა 25,085 კაცი; დაუმზადებიათ 11.323,130 მანეთის საქონელი.

* *

ჩვენ შეეცდეთ, რომ ერთი ხარკოველი სტუდენტი თარგმნის ბ. ლუნევიჩის წიგნს: „Общедоступная физиология человека“.

* *

ამას წინეთ თბილისში გამოიკა „ანგარიში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა ამავე ოლქის სასწავლებლების მდგომარეობაზე 1895 წელს“. ეს „ანგარიში“ მეტათ საინტერესო მასალას წარმოგიდგენს სწავლა-განათლების შესახებ მთელ კავკასიაში. მოგვყავს იქიდან ზოგიერთი უფრო საყურადღებო ცნობები.

1896 წლის 1 ნაწილისათვის საერთო რიცხვი იმ სასწავლებლებისა, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებოდა ოლქის გამგეობას (აქ მხედველობაში მიღებული არ არის ამიერ-კასპის მხრის 2 კერძო სასწავლებელი და 18 პირველ-დაწყებითი სკოლა), 1,181 იყო, სახელდობ: 9 საეკო გიმნაზია, 8 რევოლუციონარული სასწავლებელი, 11 საქალბო გიმნაზია, 7 საქალბო პროგიმნაზია, 1 სამასწავლებლო ინსტიტუტი, 4 სამასწავლებლო სემინარია, 37 სამკალბო ხასწავლებელი, 5 სამთო სკოლა, 8 სახელოსნო და პროფესიონალური სასწავლებელი, 3 ზღვის სკოლა, 3 საქალბო მარინეს სკოლა, 99 კერძო სასწავლებელი და 983 პირველ-დაწყებითი სკოლა (1 მხედველობაში არ არის).

მიღებული მრავალი ახლათ გახსნილი საეკიარო და სხვა ეკიარო სახალხო სკოლები). ჩამოთვლილ სასწავლებლებს გარდა კავკასიაში კიდევ არსებობენ სამ გვერდი სასწავლებლები, რომლებიც ოლქის გამგეობას პირდაპირ არ ექვემდებარებიან: ა) სამხურის სამრეწლო სკოლები; ბ) სასწავლებლები სხვა-და-სხვა სამინისტროებისა და გ) მუსულმანების და ებრაელების სკოლები.

წარსულ წელს სულ 240 პირველი კატეგორიის სკოლა ითვლებოდა კავკასიაში, სადაც სწავლობდა 19,255 შეიკრილი. მეორე კატეგორიის სასწავლებლებითა რიცხვი იყო 920, ამითში უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა მართმადიდებლობის უწყებას. მუსულმანების და ებრაელების სასწავლებელთა რიცხვი აღის 1,696-მდის, სადაც სწავლობს 24,021 მოსწავლე. 1,181 ოლქის სასწავლებელთა შესანახათ ინარჩუნება 3,637,980 მანეთი, და თუ ამას დაეუმატებთ სხვა სასწავლებლებს ხარჯსაც, მაშინ გამოვა, რომ კავკასიაში სულ სახალხო განათლებისათვის ინარჩუნება 5 1/4 მილიონი.

საერთო რიცხვს მოსწავლეთა კავკასიის სამოსწავლო ოლქის სასწავლებლებში 1896 წლის პირველი ნაწილისთვის შეადგენს 99,166, იმათში ფაქტობა 75,935, ქალები 23,181. თუ ამ რიცხვს შევუფარდებთ მთელი კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვს, მაშინ გამოვა, რომ 10,000 სულზე 119 მოსწავლე ითვლება. ეროვნობით მოსწავლეთა რიცხვი ასე გამოიხატება: 54,5% რუსები, 19,3% ქართველები, 12,5% სომხები, 2,9% თათრები, 2,2% მოიულეები, 1,3% ურიები; 7,3%-ს შეადგენენ სხვა ეროვნებანი.

აქ მხედველობაში ჩვენ არ მივიღოთ ის სასწავლებლები, რომლებიც ოლქის გამგეობას არ ექვემდებარებიან, ანე რომ საერთო რიცხვი მოსწავლეთა მთელ კავკასიაში 178, 442 არის, და თითოეულ 10,000 სულზე 212 მოსწავლე მოდის. თუ ექონივით მხედველობაში იმას, რომ ბავშვების რიცხვი; მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით, და ხლოვებით 15% შეადგენს, იმ შემთხვევაში გამოდის, რომ ბავშვების ერთი მეშვიდედა ლეხულობა რაიმე განათლებას.

* *

მივლით ი. როსტომაშვილის გამოკვანა: 1, „ხეზრდა შეიქალს“, პედაგოგიური წიარლები დედათან, ერანესტ ბემესი, ალ. ნათაძის თარგმანი; ფასი 20 კ. 2, „სიფთხილეს თავი არ სტყავს“, საქანლის ქარის მოსპობაზე, რუსულიდან ი. ცისკარაშვილისა, ფასი 5 კ. და 3, ქართული კვლის კალენდარი, ფასი 20 კ.

რუსეთის შინაგანი კრიზისი.



მ უკანასკნელ ხანებში რუსეთის საზოგადოების ერთ ნაწილში და აგრეთვე თვით მწერლობაშიაც თან-და-თან უფრო ხშირად ზნა მალათ განმისი საჩივარი ვერცე წოდებული ჰქვას კრიზისის გამო. კრიზისი საზოგადოებრივად ნამდვირად წარმოებულს მიუცილებელ და შესისხლბორცებულ მოვლენას. რაში მდგომარეობს კრიზისი? ამის დაწვრილებით ახსნა ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს; ამიტომ, რაც შეიძლება, მოკლეთ განმარტებთ აქ ამ მოვლენას. საქონლის ვაცელა-გამოცელა, ე. ი. ყიდვა-გაყიდვა ქმნის ერთი მერჯისაგან დამოუკიდებელ მწარმოებელთ. თითოეული ამ უკანასკნელთაგანი თავის გასამდიდრებლათ კერძოთ, სხვის დაუთხზავთ, ამხადებს აურაცხელ საქონელს, რომელიც დაუყარებელი გამოაქვს ბაზარზე გასასაღებლათ, გასაყიდათ. მაგრამ თითოეულ განსაზღვრულ დროს ბაზარზე შეიძლება გასაღდეს მხოლოდ საქონლის განსაზღვრული რაოდენობა ერთი რომელიმე საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. რაც ზედ-მეტია მომზადებული, ის საწყობებში რჩება ხელ-შეუხებლათ და მეტი თუ ნაკლები ხნის განმავლობაში ფუჭდება. ამ ზედ-მეტ საქონლის მომზადებას მიუცილებლათ ის შედეგი მოსდეს, რომ საქონლის ფასი, რომელიც მისი ღირებულობის გამოშვებულად უნდა იყოს, შესაძრევით კლებულობს, რადგანაც ყველა საქონლის მფლობელნი მან იმას ფიქრობს და იმაზე წუხს, რომ საქონელი საწყობში არ გაუფუჭდეს და გადასაყარათ არ გადაიქცეს; ამიტომ ის ღირებულობაზე უკლებს და ისე ყიდის, ოღონდ კი ხელიდან გაიკალას. ამასვე ჩადიან ყველანი თ-თქმის ერთ და იმავე დროს, რადგანაც ის განმწესრეგული (regulating) კანონი, რომელსაც კონკურენცია, მოკლივობა, ჰქვია, აქ ყველანაშე უფრო სკრძნობლათ არის გამეფებული. ეს გარემოება და კიდევ მრავალი სხეები, რომლებსაც აქ აღვილის უქონლობის გამო ვერ დავასახელებთ, იწვევს იმას, რასაც თანამედროვე წარმოებაში კრიზისი ეწოდება და რაც მდგომარეობს ერთი მხრით იმაში, რომ საქონლის ფასი დაეჭმუდება, და მეორე მხრით იმაში, რომ აურაცხელი საქონელი ჰყრია საწყობებში, რომელიც უნიმდლათ და სასოწარკვეთილ ბით ევლოდება „საყვარელი“ მუჭტრის თვალს. მაგრამ ამათ! ბაზარი თხოვლობს მხოლოდ საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას. დანარჩენს აღარ

აქვს გასაღდი; იმის დასამუშავებლათ სრულიად ამათ დუხარჯავთ საზოგადოებრივი შრომა.

თუ რა მენებელი და საზარელია კრიზისი მთელი საზოგადოებისათვის, და კერძოთ მუშებისათვის და თვით კაპიტალისტებისათვისაც; ამის შესახებ ჩვენ აქ საუბარს ვერ გავაგრძელებთ. საქმარისი იქნება შევნიშნათ აქ, რომ როცა ბაზარზე, საწყობებში, აურაცხელი საქონელი ჰყრია, სხვა-და-სხვა გზათ-ხინეზილებათა დასაკმაყოფილებლათ დამადლებლათ, იმავე დროს შიმშილის და სიცივისაგან იხიუციებიან ისინი, ვინც ეს საქონელი დამუშავა. ეს მოვლენა მეტათ დამახსიათებელია ჩვენი დროისათვის. თმ ძველ დროში, მაგ., საზოგადოება გაჭირებაში ვარდებოდა იმის გამო, რომ სამყოფ მასალას თავის შესანახათ ვერ შოულობდა და ვერ ამზადებდა, თანამედროვე საზოგადოებაც პირიქით გაჭირებაში ვარდება იმ-ტომ, რომ ზედ-მეტი საქონელი დამადება. ეს პირ-დაპირი შედეგია თანამედროვე წარმოების წესისა, რომლის საფუძველს შეადგენს კრძოთათს-ნობა. ამნარათ კრიზისი თანამედროვე წარმოებაში წარმოგედგენს ზუნებრივ მოვლენას, რომელიც მოისპობა მაშინ, როცა ეს წესი ძირითადათ შეიცვლება, ე. ი. როცა წარმოება პირდაპირ საზოგადოების მხედველობის ქვეშ იქნება დავუბრუნდეთ აწი უმთავრეს საგანს.

ჩვენ ზევით ვამბობდით, რომ რუსეთში ამ უკანასკნელ ხანებში პურის კრიზისი დამდგარიო. ეს ნიშნავს იმას, რომ პურის გასასაღებელ ცენტრებში აურაცხელი პურია შეგროვილი გასაყიდათ და ამასთანავე მისი ფასიც დაცემულია. მეითველს კი არ ეგონოს, რომ რუსეთის მკვიდრთ მოპოვნიათ ეს პური, ე. ი. იმათთვის ეს ზედ-მეტი იყოს, რომ მოთხოვნილებისამებრ გაუნაწილდეს მათ. სრულებითაც არა რუსეთში, მაგ., ორთა-შუა რიცხვით თითოეულ სულზე ძლიერ ნაკლება პური იხარჯება, ე-ნემ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიაც რუსეთიდან გააქვთ პური. სხვა გვარ სურსათის შესახებ ეს უფრო იტქმის. მთვ პურის კრიზისი დამდგარა რუსეთში, ეს იმას ნიშნავს, რომ პურის წარმოებას აქ კაპიტალისტური ხასიათი მიუღია; ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს, რადგანაც სენარირათ ამ მოვლენის ახსნა ყოველად შეუძლებელია. შემდეგ ორი გარემოება კიდევ უფრო აშკარათ გვიმტკიცებს ამას.

1) სიპარითით რომ ვთქვათ, ზედ-მეტი იმა-ტომ გამოდის, რომ უმწავლესობა ვთავად გვარ საწყობებს მოკლებულად საჭმარისი მასალა შეიძინოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

*) ის. კვლეი № 45.

როგორც ვიცით, ნიჭი-ნოვგოროდის სააღმ-
მაცემო კრებაზე, რუსეთის მეურნეები, აგრარები, გულ-
დასამთ თხოულობდნ მთავრობისაგან საზღვარ-
გარეთის სამეურნეო მაშინგებზე ბაჟის გაუქმებას,
ან და შემსკირებას. ეს კი იმას მოასწავებს, რომ
რუსეთის დიდ მეურნეთ უმეტესწილად პურის წარ-
მოება აღარ შეუძლიათ; ამით თავის-თავით იგუ-
ლისხმება, ერთი მხრით ისა, რომ რუსეთის მეურ-
ნე დაქირავებული მუშებთ სარგებლობს, და მეორე
მხრით ის, რომ ის მხოლოთ ბაზრისთვის ამზა-
დებს პურს. მეორე გარემოება, რომელიც რუსეთის
სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ხასიათს გვი-
მტკიცებს, იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის მეურ-
ნეები სოფლის ნაწარმოებს გადასატან ფასის (ტა-
რიფების) შემსკირებას ცდილობენ, მთ-ერობის შემწე-
ობით, რასაკირველია. ამ გარემოებას ჩვენ აქ მხო-
ლოთ იმიტომ ვაქვეთ ყურადღებას, რომ ის აშკა-
რათ გვეუბნება: წარმოება შორეულ ბაზრისათვის
და არა შინაური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებ-
ლათ, როგორც ეს წინეთ ნეტარ ხსენებულ დროს
იყო. ამიტომ პურის კრიზისი რუსეთში სულ ადვი-
ლი ასახნელია, ის გამოწვეულია წარმოების კაპი-
ტალისტური ხასიათიდან, რომლის საუქმებელს შე-
ადგენს ყქობა თაოსნობა. რუსეთის მეურნეებს თავისი
ნაწარმოები გაქვეთ მსოფლიო ბაზარზე, სადაც
მათზე ბევრათ უფრო დაწვლიანებულ მწარმოებელთ
უნდა ვაუწიონ მეტოქეობა, და ამიტომ რა ვასაკვი-
რველია, რომ პირველი ხშირათ მარცხდებიან. რუ-
სეთის მეურნეი კი ამ დამარცხებას და აქედან გა-
მოწვეულ კრიზისს მხოლოთ იმას აწერენ, რომ ერთი
მხრით მათ ძლიერ ძვირათ უჯდებათ სამეურნეო
მანქანების შეძენა და მეორე მხრით, რომ რუ-
სეთის რკინის გზები მეტათ დიდ გადასახადს ღებუ-
ლობენ პურის გადატანისათვის. რომ ზემოთ დასახე-
ლებულ გარემოებათა რამდენიმე გავლენა ექვე-
ნათ რუსეთის მეურნეების გაჭირებულ მდგომარეო-
ბაზე, ამაზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ. ჩვენ მკითხველის
ყურადღება ვესურს მივაქციოთ იმაზე, რომ კრიზისს
სულ სხვა მიზეზი აქვს, და ამიტომ მიაი აცილება
სხვა-და-სხვა გვარი ბავების თუ გადასახადის შემსკი-
რებით, როგორც ეს სურთ სოფლის დიდ მიმამულ-
ლოთ, ყოვლად შეუძლებელია. ამინარი წადლი მხო-
ლოთ იპას ნიშნავს, რომ მას გამოთქმებით სრუ-
ლებით ვერ შეუძნიათ თანამედროვე წარმოების წე-
სი. მეორე მხრით, ჩვენთვის ამ გარემოებას არავითარ
მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ჩვენ წინა წე-
რილში ვამბობდით, ჩვენთვის ამ ქაშათ საინტერესოა
მხოლოთ ის, თუ რა ღონისძიებას ხმარობენ კაპი-
ტალის წარმომადგენელნი რუსეთში თავის მდგომარეობის

გასაუმჯობესებლათ; მხოლოთ იმათ აქტი-
ულ მოქმედებას უნდა ჰქონდეს დ-ეს ჩვენთვის უდი-
დესი მნიშვნელობა; ჩვენთვის ამ შემთხვევაში სრუ-
ლებით არ არის საინტერესო, მიახწვენ თუ არა თავის
მიზანს ერთი რომელიმე კლასის წარმომადგენელნი.
ჩვენთვის უდიდესი ინტერესი აქვს მხოლოთ იმ
გარემოებას, რომ თუ ერთი რომელიმე კლასის წარ-
მომადგენელი იბრძვიან და მოქმედებენ თავის ინ-
ტერესების სასარგებლოთ, რამაც თვით უშეძლებს
მმართველობაზე ხელს უწყობს და დახმარებას უჩენს
მათ, აქედან აშკარათ ჩანს, რომ სხვა კლასის წარმო-
მადგენლებსაც უნდა აუცილებლათ გაეხსნათ თვით
გზა თავის ინტერესების დასაცველათ; ამას არა მარ-
ტო სამართლიანობა თხოულობს, - ეს აუცილებელი
ისტორიული მოვლენაა. საჭიროა მხოლოთ, რომ
ეს გარემოება ყველამ გაიგოს და ჯეროვანათ და-
აფასოს.

ჩვენ ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ნიჭი-
ნოვგოროდში მომხდარი კრების მნიშვნელობა. აი,
მხოლოთ ამ მხრით არის შესანიშნავი პეტერბურგში
მომხდარი კრება პურის ტარიფების შესახებ. ამ კრე-
ბისა ძლიერ დიდი იმედი ჰქონდათ, ეგონათ, რომ ის
ბოლოთ მოუტანს სამეურნეო კრიზისს; მაგრამ აქ
მხოლოდმა სრულებით ამათ ჩაიარა. ყოველ შემ-
თხვევაში საჭიროა უფრო დაწვრილებით გავაცნოთ
მკითხველებს ხსენებული კრების ისტორია.

რადგანაც თანამედროვე აღმ-მაცემობა ცვალებ-
დალია და ამიტომ მის სფერაში რაიმე ხანგრძლივი
წეს-რიგის დამყარება ყოვლად შეუძლებელია, ამი-
ტომ მთავრობამ წინდაწინე, სახელდობ 1889 წ. 8
მარტს, კანონით დაადგინა, რომ ახალი ტარიფების
და დეველის გაუქმების შესახებ შეუძლებლათ იშუა-
მდგომალონ ყველა იმათ, ვის ინტერესებს ეს ასე თუ
ისე ეხებოდა. ამ კანონის ძალით გასულ ვაზაფხულზე
მოსკოვის სამეურნეო კრებამ იშუამდგომლა ფინანს-
თა სამინისტროს წინაშე, რომ პურის გადატანის გა-
დასახადი რუსეთის რკინის გზებზე ისე შეამსკირონ,
რომ ფუთზე და ევრსზე ერთი მეასელი კაპიკი გახა-
დონ. ეს უშუამდგომლობა მთავრობამ უარ-ჰყო; მაგ-
რამ რადგანაც ყოველ მხრიდან ისმოდა საჩივარი ევ-
რეთ წოდებულ დიდფერენციალურ ტარიფების შესა-
ხებ, რომლებიც შემოიღეს 1893 წელს და რომლებ-
ბის დედა აზრი ის არის, რომ რაც მეტ სიფრცხვე-
ლად გადასატანი საქონელი, იმდენათ ნაკლები გადასახა-
დია თითოეულ ფუთზე და ევრსზე, - ემიერებით, რა-
დგანაც 1893 წლის ტარიფების შესახებ ბევრი საჩი-
ვარი იყო განცხადებული, ამიტომ მთავრობამ მოი-
წვია კრება პეტერბურგში ამ საჩივრების გამოსარკვე-
ვათ. უნდა შევიხსინათ, რომ კრების განაჩენს მხო-

ლო იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც ის მასალას მისცემს ფინანსთა სამინისტროს ახალი ტარიფების შესამუშავებლათ. საინტერესოა, თუ ვისგან შედგებოდა ეს კრება, ან თუ საზოგადოების რომელი ნაწილია გაგზავნილი თავის წარმომადგენელნი. უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია, მეურნეობის წარმომადგენელნი იყენ ამ კრებაზე, რიცხვით 170) კაცი, იმათში თითქმის ყველა გუბერნიების მარშლები, რამდენიმე მაზრის წინამძღოლნიც, თერთმეტი სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი და სხვ. ამას გარდა მოწვეული იყენ აგრეთვე ფქვილის მრეწველობის, ბირთვის კომიტეტების და რკინის გზის საზოგადოებათა წარმომადგენელნიც. კრებას თავჯდომარეობდა რკინის გზის დეპარტამენტის დირექტორი, ე. ე. მაქსიმოვი, რომელმაც თვით პროგრამაც წარუდგინა კრებას განსახილველად. აი, უმთავრესი მუხლი იმ პროგრამისა: 1) საზღვარ გარეთ ვასტანი და შინაგანი ტარიფები ერთნაირი უნდა იყენ თუ სხვა და სხვა; 2) სხვა-და-სხვა ხორბლისათვის ერთნაირი ტარიფი უნდა იყენ თუ სხვა და-სხვა ნაირი; 3) მთელ საბელმწიფოში ერთ ნაირი ტარიფი უნდა დაწესდეს, თუ სხვა-და-სხვა კუთხებისათვის განსაკუთრებითა ტარიფები უნდა არსებობდენ და სხვ. ამ კითხვების შესახებ იმოდენა სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა კრებაზე, რომ ყველა ამის მოსწენება აქ შეუძლებელია; მაგრამ ჩვენთვის ეს არც საჭიროა. ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თუ საზოგადოთ რა გამოარკვეა კრებაზე. მიწათ მოქმედების წარმომადგენელთა უმრავლესობამ აღნიშნა ის გარემოება, რომ დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან რუსეთის შუაგული გუბერნიები, რომელთაც უმეტეს ნაწილათ პურის მოყვანას მისდევენ; მოსკოვის მხარეს დაპკარვა თავის წინადადელი მნიშვნელობა პურის აღებ-მიცემობაში. ამ მხრის წარმომადგენელთა აზრით, ეს იმით აისხნება, რომ აღმოსავლეთის და სამხრეთის გუბერნიები დიდ მეტოქეობას უწევენ დასახელებულ მხარეს დიუფერენციალური ტარიფების მეოხებით. ამიტომ შუაგულ გუბერნიების წარმომადგენელნი ომს უტახადებენ დასახელებულ კუთხეებს რუსეთის საბელმწიფოსას და იმათ შორის კავკასიასაც; ისინი თხოულობენ მართებლობისგან დიუფერენციალური ტარიფების გაუქმებას და დიდი გადასახადის დაწესებას პურის გადასატანათ დაშორებულ გუბერნიებისათვის, რომ მით თვითდან აიშორონ გარეშე მოცილილება და თავის პური დიდ ფასში ვასალონ. ესევე აზრი გამოითქვენ დასავლეთის და მდ. ვისლის განაპირის მდებარე გუბერნიების წარმომადგენელებმა. ამნაირათ თუმცა თითოეული წარმომადგენელი ლაპარაკობდა სოფლის მეურნეობის კეთილდღეობაზე, მაგრამ ეს

ყველას თავისებურათ ესმოდა. არც ერთი კითხვა არ დაუყენებიათ იმისთანა, რომ იმის შესახებ რაიმე საფუძვლიანი განაჩენი დაედგინათ. ეს გარემოება აშკარათ მოწიობს, რასაკვირველია, რუსეთის აგრარიზების მოუშვებლობას, რაც საზოგადოთ ყველა ქვეყნის აგრარიზების სენს შეადგენს.

სხვათა შორის ბ. ზევეიცევის წინადადება იქნა ამ კრებაზე უმრავლესობის მიერ მიღებული. ამ წინადადების ძალით უნდა იქმნენ ორ გვარი ტარიფები: საზღვარგარეთ ვასტანი და შინაგანი; ამასთანავე პირველი ხელს უწყობს უფრო დაშორებულ მხარეებს და მეორე კი შუაგულ გუბერნიებს.

ფ. ზახარძე.

„კვალის“ კორესპონდენციები.



აონკთი. წარსულ სექტემბერში აქ მოხდა საეპარო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. კრებამ განიხილა და დამტკიცა ამხანაგობის გამგეობის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში. ამხანაგობას დაუწყია თავის მოქმედება 600 მანეთით. წლის განმავლობაში მიმატებია პის ფული მხოლოდ 80 მან.

ანგარიშიდან ჩანს, რომ ამხანაგობას მოუგია წლის განმავლობაში 442 მან. ლ 95 კ. აქედან ხარჯს გარდა, რაც წმინდა მოგება დარჩება, კრებამ გარდაწვეტილა მიემატოს ძირითად თანხას და თუ რომელიმე წევრა მოისურვებს, შეუძლია თავის ხედვარ დიდედნდეს მიუმატოს ფული და ახალი პიი შეიძინოს.

რაც შეეხება ამხანაგობის წარმატების საქმეს, უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით ვერ მიდის მისი საქმე კარგათ. ზოგიერთმა წევრებმა ზურგი აუქციეს ამხანაგობას, არ ვიცით კი რა მიზეზია. ნოქრებიც ცოტა არ იყოს ზრდილობიანათ ვერ მტყვეიან არამც თუ გარეშე პიი, არამედ თვით წევრებსაც. იმედია ამხანაგობას გამგეობა ყურადღებას მიაქციეს და ლონის ძიებას ვიილებს ყოველივე უკანონო საქციელის მოსასპობათ.

წევრთაგანი.

კას.თი. მართალია, ჩენი ხალხი ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა თასგვარი მავენი ცრუ მორწმუნოებისაგან, მაგრამ ის დრო, როცა ის ყოველ გვარ უმედურებს და უსუღმართობას მარტო „წერას“ ამრალბდა, დიდი ხანა უწვიდა. დღეს თან-და-თან

ჭკებიან ყოველ გვარი ცრულ მადნებელი ჩეულებანი და მათ ნაკელათ ხალხში ნამდვილი კონა იკიდებს ფეხს. წინეთ რომ ჩენი ხალხი ყოველ გვარ ნასწავლ კაცების მიერ გამოგონილ იარაღს უნდობელთ ეპყრობოდა და ეწინააღმდეგებოდა, დღეს სამაგიეროთ იმას ყველა სიხარულით და დიდი ნდობითა ეგებება. საზოგადოთ ჩენ ხალხს აშკარათ ეტყობა, რომ სწავლისა და აგრეთვე ახალი იარაღის შეძენის სურვილი დიდი აქვს, მაგრამ ხომ მოგვსენებათ, ცარიელი სურვილისაგან ბევრი არა გამოვაჩინა; ამ გვარი სურვილის განხორციელებას, ხალხის დაქვეითებული ეკონომიური მდგომარეობა ეღობება ხოლმე წინ.


მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთ მდგომარეობის თვიდან ასაცილებლათ ერთი საუკეთესო სახსარი არის ჩენ ხელთ,—გულ შემატიკიარ და გამოცდილ პირთა თანაგრძნობა და დახმარება. უბედურება კი სწორეთ ის არის, რომ ასეთი პირები ჩენ არა გეყავს. ავიღოთ, მაგ., წრევიანდელი წელიწადი: ეინც უწამლა თავის დროზე, მხოლოთ იმის ეენახს ევრაფერი დაკოლა მიღღებ და ნაცარმა. აბა, ახლა იკითხეთ:—ბევრმა უწამლა ჩენში? მხოლოთ ოთხმა თუ ხუთმა მეწამულემ.—მერე რატომ სხებებმა კი არ უწამლეს? იმიტომ, რომ არც სასსურეველი მაშინები ჰქონდათ და არც წამალი, თუმცა ყველა დარწმუნებული იყო წარსული წლების მაგალითით, რომ ეენახებს წამლობა აუცილებლათ ესაჭიროებოდა. საზოგადოთ ყოველ გვარი სამეურნეო და სამრეწველო მაშინები აქამდის ისე არ არის გავრცელებული, როგორც სხვაგან. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩენში აწაიარი იარაღის შეძენისათვის, არავითარი, არც კერძო და არც საზოგადო, დაწესებულება არ არსებობს, რომელიც კისრულობდეს ჩაიხე ზომების მიღებას, რომ ხელმოკლე ხალხს ნდობის ანუ კრედიტის მეოხებით გაუადვილებს საქირო იარაღების შეძენა. ჩემის აზრით, ამ საქმის წინ წაძლილა, ე. ი. შუამავლობა სოფლის მეურნეთა და სამეურნეო იარაღების მეპატრონეთა შორის, პირდაპირი ევლია „სამეურნეო საზოგადოებისა“.

შაქრო ა. განჩაყ.

გურა. რამდენიმე წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც გურიამი ყანალობა თითქმის სულ აღარ არსებობს და მცხოვრებელთა ცოტათი მოსეენებულათ თელიან თავიანთ თავს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ყანალობამ ხელ-ახლა იჩინოს თავი ჩენში. აი, მაგალითიც: სოფ. ეწერის გადმოღობა—ან-

წლარას თავში მდებარეობს ჯვარცხმის საზოგადოების მცხოვრებთ, ძმათა: ელადიმერ, საჰსონ, მიხეილ და ილოკო შარაშიძეების მამული, რამელიც სათაღროა, ე. ი. ამ მამულთა ერთათ შელობლია სხვადასხვა მეპატრონეთა მამულები. დასახელებული შარაშიძეებისაგან დიდათ შეწუხებული არიან შემდეგი სოფლები: ეწერი, ზომელით, აკეთი, აცანა და აი როგორ: ეს ევებატონები თესენ თავიანთ ადვილს მაშინ, როცა მათი მოთაღრენი მარკლიან და სტებენ, ე. ი. აგროეებენ სიმინდს მაშინ, როცა სხეებს ეს საქმე დიდი ხანია მოთაღებული აქეთ. ჩენში შემოღებულია, რომ როცა ჰირნახულს შევტროეებენ ნაყანევი საერთო საბალახოთ ხდება. მაგრამ, რადგან შარაშიძეები თეის დროზე არ სტებენ სიმინდს, ეს ჩეულებმა ძალიან საზიფათო საქმეთ ხდება. დასახელებული რაინდები შეთაფ-იარაღებული დგანან თავიანთ ყანაში და როგორც შევა საქონელი შიკ, ზოგს ჰკლოეენ და ზოგს ამწყვედეენ; შემდეგ გლეხებს ექეჰი შაღრიდან მანეთამდის ახდეინებენ დღეში. ეს ევებატონები საქონლის დაქერასაც აღარ ჯერდებიან. ამას წინეთ იმათ დაქიროთ ერთი კაცი გზახე, რომელიც თეის საქონელთან ერთათ დაბმული ყოლოდათ. ესაღია, რომ ამდენი უსაპართლობის ატანა ძნელია, მეტადრე გურულის მიერ. ამას წინეთ ეილაკამ კდეეც ესროლა იმათ თოფი, თუმცა არაეის მოხედეღია, საქიროა, რომ ამ ვარეოეებას ყურადღება მიეცეს, ეისგანაც ჯერ არს.

ვლას და რაფიელ მეკლამეი.



ღმერთო შეგცოადე!..

(ერთი მწავალთაგანის აღსარება)

ალ. წატურიანიდან.



ახით, ესოჯრებით ვარ კმაყოფილი, მაქვს სასე სუფრა ღსინი-საღლი, მაგრამ ამეებს ვით მივეწოდე— მას ნუ მეითხავთ... ღმერთო შეგცოადე!..

სულ ცოტა სანში ვაჯხდი მდიდარი, მიწა-მამული, ეტლე ვოედე, თუ რა ფეულით არს ეს მოხანჯარი— ეს ჩვენში დაწესე... ღმერთო შეგცოადე!..





სასლები დაფიქსირდა სულ მოსწონი,
 შიშვენიერება, როგორც შეფუპატონი,
 მგრამ რამდენის სახლებს გქცევდე —
 ეს ჩვენში დაჩნეს... დმერთო შეგცოდე!..

საკვარა გავსენ, გავსდი დიდ გჭრით,
 ხელთ სვიგრები განხით გავტყდე,
 მგრამ რამდენჯერ ჩავკრდი კოტრით —
 ეს ჩვენში დაჩნეს... დმერთო შეგცოდე!..

ამხანაგი მსვლა თვით „ლეთისნიერა“,
 შემამაშველა ათასიადე;
 ბოლოს კი?.. ბოლოს ის რჩა მშიერა,
 მე-კი გამოქვედ... დმერთო შეგცოდე!..

შე ხელ ვამბობ და ვქადაგებ ამას:
 „ღარაბიც გაც რს, ნუ გუშლით ჰაზის“,
 მგრამ რამდენი საწყლათ ჩავკდე —
 ეს ჩვენში დაჩნეს... დმერთო შეგცოდე!..

სსკის თვალში ჩემს თავს წმინდანთ ვსასვე,
 მუსხე მოდრეკილი ბირკვარს ვსასვე,
 სულ-კი ადრე ეშმაგს მიგვიდე...
 ვვლას გატყუებ... დმერთო შეგცოდე!..

ვინც შეეკება ჩემ სეინდის სახლში,
 ნინდის ნანაწყველს მივაური თვალში,
 ჩუბთ-კი ვისი ფურთისი არ გვადე? —
 ეს ჩვენში დაჩნეს... დმერთო შეგცოდე!..

ქს მსურს ახლა-კი ესეც ვიპარო,
 „რომელ ერთი ვთქვა, ვით ლეიარო“!..
 ცოდეით სავეც ვარ თავით ფეასმდე...
 დმერთო შეგცოდე, დმერთო შეგცოდე!..

ბ. დავითაშვილი.

ვაკა ფშაველას პოეზია.*

(კრიტიკული ნაღ.)

მოგვსალმებო, ქველბო,
 მომაქვს საღამო გიანი,
 ჩემსამც სამარეს ამოგენ
 თქვენი ღევა და ღვიანი!
 თქვენგანა გულს ეს გული,
 შეგ გრძობს უღელს დვითანი,
 თქვენი მიწოვაც შეც მქმე,
 დღიან-მარჯანი!

გუ.



უნება-ჩენი, პროზაულ-ქალაქელ ადამიანთა,
 „დაკარგული სამოთხე“, და მისი „შენიერე-
 ბა მხოლოდ ჩვენ შორეულში, ჩენი გულს
 პოეზიაში ცოცხლობს. აქაც სიტყვის, ადამიანის შე-
 მოქმედების ძლიერება გამოსახულია. „სიცოცხლე-
 მუდმივი სისხლის-ღერა იქნებოდა, ქვეყანაზე პოეზია
 რომ არ ყოფილიყო გაჩენილიო“, ამბობს ბერნე.
 კეშმარტბაა. პოეზიის მიქანება — მკურნალი,
 განმანებლებელ-მაცხოვრებელი ძლიერებაა. პოეზია
 უღერებს და უწმენდს სისხლს სისხლ-მანიერ ქა-
 ლაქელ კაცობრიობას: მის დაკარგულ სამოთხეს,
 მისთვის დაღუპულ ბუნებას გაუცოცხლებს, თვალ-
 წინ დაუყენებს და ძილათ მიგარდნილ ქალაქელ სი-
 სხლს მზიარულათ აუტოკავს და აუთამაშებს ხოლმე.
 ხალხს კი, ბუნების მკვიდრ შვილს, ბუნების ცხოვე-
 ლი ძლიერება მუდამ ვამს სისხლში აქვს შენახული
 და იმიტომ უხილავია მისთვის. „გაზაუხულის ბუნე-
 ბასა და ღირსებას ჩვენ მხოლოდ ზამთარში შეგ-
 ყობთ ხოლმე და უშენიერესი სამარისა ჰანგები ან-
 თებულ ბუნართან იზადებიან. თავისუფლებას სიყუ-
 რული — საბატმირას ყველიდა. თავისუფლებას საპ-
 ყრობილევ ასწავლის ადამიანსო“. ამიტომ არის, რომ
 ჩენ, ქალაქის კედელთა შუა პატმირანი, ჩე-
 ული, შინაურ საბატმირადან თავისუფალ ბუნებას
 ევლტეით სულით და ამ ღრულოვანობას გულს
 შირებში გამოთქვამთ ხოლმე. ხალხს პოეზიაში
 კი ჩენ ამ ღრულოვანობა-მისწრაფებას ვერ ეხედავთ.
 და ან რათ უნდა, რა საჭიროა იგი მისთვის?

გადაუურცლეთ მივლი ფშავერ-ხალხური პოე-
 ზია და ცხადთ დანიანათ, რომ იქ აქ იქ გავან-
 ტულ თითო ოროლა სტრიქონში თუა ბუნების შე-
 ნიერების შესწავლილება, საზოგადოთ კი არ ჩანს,
 გმირ-რანიდულ ჰანგებშია დანთქმული. ვაქვს შემო-
 ქმედობაში კი ჩენ სულ სხვა სურათსა ეხედავთ: მისი
 პოემები ბუნებას გულიდან ამოღებული შეწიერი

*) ის. „ქალი“ № 45.

მარგალიტებით არიან მოქარგულნი. ეს გარემოება თითქო არღვევს ჩემგან გამოთქმულ აზრს ფშაველასა და ფშაველთ შემოქმედობის ცხალ ერთ-გვარობაზე, მკვიდრ ნათესაობაზე. ევაყასაგან გაღვქმულ მშობელ ბუნებებს სიყვარულს რომ დაეუყვირდნით, თან-და-თან უფრო-და-უფრო ნათლათ დაინახავთ, რომ მას მხოლოდ იმის გამოთქმა შეეძლო, რაც ფშაველი ხალხის გულის ღუმელში უნდა ცოცხლობდეს. სხვა გვართ არ აიხსნება ევაყას სიყვარულის ხასიათი, სამშობლო მთები-ევაყას საყვარელი ოჯახია: როგორც თავის ვაწუშორებელ ოჯახს, ისე დასტრიალებს და თავს ევლებდა ევაყ იმით, ეს სიყვარული-წმინდა, წრეველი, ალაღ-ბაეშური სიყვარულია. ევაყ ისე დეკონება ხოლმე მთების ამწვანებულ გულ-მკერდს, „როგორც ბაღლი დედის ძუძუს“, ტკბილათ წოვს და ყვეთილებთან საყვარლათ იხდის ბადის:—

„ნურც გაჯავრდა ბიძა-მზე,
 „ნურც დაწყვედიან ანი,
 „რომ იმით ღვდის ძუძუთი
 „ჩსქუდეპი ცოდედიანი.“ *

ამ ღვქარს ტურფა სიყვარული-მკვიდრი ძმა „პირი-შისა“ და მთელი იებისა: სამშობლოს გულ-ქალ ამოსულ, ფურჩენილ ყვეაილის სურნელება აქეს ქალაქელ ქართულ პოეზიაში კი ჩვენი ამკვარ უმან-კო სიყვარულს ვერ ვხედავთ: იქ ბუნების სიყვარულს ამ ბუნებისაგან მოწყვეტილისა და პაწია ცეკონი-ციის საკრძაღვ-ორან-ფერეაში აღზრდილ-აფუფუნე-ბული ყვეაილის სუნი აქეს ხოლმე. ევაყს ერთი კი თვით ბუნება ვეღლაპარაკება, ბუნება ალაღ-მარტივი და წრეველ-სიყვარული, ბუნება შუშბანდ—გადუხუ-რავი და თავისუფალ-სურნელოვანი. და განა შერჩე-ბოდა ევაყს ყველა ეს ცოცხალი ვლ-ფერი და ბუ-ნებითი სურნელება, ბედს რომ ჩვენი პოეტი მისი სამშობლოს გულიდან ამოეწყვიტა და ჩვენი პაწია ქართული ციცილიზაციის უფერულ ქოთანში გად-მოერგო?—არა მგონია; და ამიტომ ვთქვამთ, რომ ევაყ ისე თავისუფლათ ამოგვიყვავდა და გამოკვეცხა-და ჩვენი მთიულეთიდან, როგორც ყვეაილი დედა-მიწის გულიდან ამოგვიყვავებდა და გამოკვეცხადებდა ხოლმე. ფშავეური ხალხის ღმერთი—დედა-მიწის ღუმელია; ამ დედა-მიწა ხალხმა აღმოაქცნა ევაყს პოეზია და მით თავის გულში დამარხული, მღვმარე ხაიდუმლო მოგვითარა.

ევაყ-ფშაველას პროზაც ბუნების ნახი სიყვარუ-ლით არის საესე. მისი „შელის ნუკრის ნაამბობი“ და „მთის წყარო.“ ** აქ ბუნების შეწერებებში

„ამონაწები“ კალმით არიან დახატულნი, როგორც თავისი მკვიდრი შვილის თავ-გადასაყვას, ისე ავი-წერს ევაყ ობოლი შელის ნუკრის მწუხარე ბედ-იღბალს. საცოდვე პაწია ცხოველს მონადირის უწ-ყლო ტყვიან მისტატა მშობელი დედა და ობოლი ნუკრი წრეველ-მარტივათ მოგვითარბას თავის მწუ-ხარებას, თავის გზა-დაბნეულ და დაობლებულ ცხო-ვრებას. შელის ნუკრს ახლა ევაყ უწევს დედობას; პაწია ცხოველის გულში პოეტის გული ბუდობს და მასთან ერთათ, ერთი სიყვარულითა და მწუხარებით, ჰყვითეს და ცოცხლობს. უზარ-მაზარი ლევა ფრინე-ლი ზეციდან რომ გადმოვარდება საწყალი უმწეო შველის ჩასანთქმელათ, პოეტსაც ნუკრსავეთ შიშის ზარი დაეცემა და მასვეთ განაბავს სულსა და თავის დღეთა აღსასრულს მყოლის. ამისთანა სიყვარულს მზა-ტრობას უძახიან.

„მთის წყაროშიც“ პოეტის წმინდა, ცხოვე-ლი სიყვარული ჩუხჩუხებს და სამო სიოს მოჰყენს მკითხელის გულსა. აქაც ევაყ განუშორებლათ და-ჰკრთის და თავს ევლებდა პაწია მთის წყაროს. წრე-ველის სიყვარულით გვიხატავს წყაროს ბედნიერებას, სანამ ის მთის კალთაშია თავ-შეფარებული, იქ, სა-დაც „კარგი მგვობრები ჰყენან ვეერდას. აი, ჯერ ის ლოდება, სქლათ მწვანე ხავსი რომ გადაჰკვირას; აი, კიდევ წყაროს თავზე პირ-ყვითელი კლდე რომ და-ყუდებულია და დეკერის, ხურბუბა თავზე ჰუხარა-ლიეთ. ეს დევებივითა ქორაუბები როგორ აწვდილან ზეცათ და მზის სხივსაც არ უშეგებენ წყარომდის, და სქელი, გველებივით დაკლანქილი ფესვები მის უბე-კლთაში ჩაუწყვიათ.“

აქ პოეტს უფერათ სევდა მოეფინება გულს. „მე ხაშ ორისა თუ სამის ვერსის სიგძევე ვარ მზა-ლოთ ბედნიერი და უცოდველიო.“ ნაღელიანათ ჩი-ვის უმან-კო მთის წყარო: „მერე დამოღვს, ჩამნთქავს უზარ-მაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩე-მი ვინაობა, როგორც უნდა, ისე მათაჰამება. თი-თონ ხომ ღრიალებს, ბორკავს, აწყდება აქეთ იქით, ანგრევს დედა-მიწას, გლეჯავს ხეებსა და მათარევეს; მეც იმასვე ჩამადენინებს, მაგრამ მაშინ ჰე ის აღარა ვარ, რაც ახლა, ამ წაშში, როდესაც პირველათ კლდი-დან ეიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გა-ხეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ტი-ვლი-ხივლით: „დაარჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავისა გწამთო!“ ცოტა არ იყოს, მეც ბრალი მედება. ვაჰ, ჩემო თავო!“

მკითხველი ნათლათ ხედავს, რა ცოცხალი ბუ-ნების სურათების მხატვრია ევაყ-ფშაველა-რახიკაშვი-ლი. ეს სურათები სამშობლოს სიყვარულის შუქით არიან განათებული, პოეტის მთა-ტყიან-ციე-წყა-

*) „პასტრიონი“, გას. „ივერს“, № 29 და შემდგ., 1892 წ.

**) ევაყ-ფშაველ, „მოთხრობანი“, 1889 წ.

როგორც დედა-სამშობლოს სიყვარულითა, რომლის ძუძუთი „სუტუღება“ ჩვენი „კოფილიანი“ ვაჟა და სანამ ეს სამშობლო ცოცხლობს, ვაჟას საყვები არ გამოეღვევა, რადგან თვითონ ჩვენი პოეტი გვიუბნება:—

„ვატყვით რძითა მათი მუხუ,
„დაუშრობულთ რძიანთა“.

სამშობლო ბუნების ღრმადი და ზემო-ვაჟას გულის ზეიმი და მისი მწუხარება-ცვაჟას მწუხარება-ვაჟა რომ თავისი ფშავეთის ქედებს სალამს შესძახებს, ეს სალამი ღრმა-გრძნობიერი, ალტაცებული მთიულეთის შვილის სალამია, გულის სიღრმიდან აღმოჩნადენი:—

„თქვენგან გულაჲს ეს გული,
„შიგ გრძნობა უდღეს ღვთიანთა“!

ამ სალამში მთელი ვაჟას პოეზიის ხასიათია გამოსახული, პოეზია ბუნებრივ-ეროვნული, ბუნების ძლიერებითა და სიყვარულით სავსე. განათლების შვილი ასე მარტივად და ალალ-გულწრფელად ვერ მიესალმებოდა მთებს, „თქვენი ჭირიმე, მთებო!“, თუმცა განათლებულ-ევროპული პოეზია ვაჟას პოეზიაზე ბევრად უფრო მაღალი და მძლავრ-დიდებულია, რადგან იგი ადამიანის შეროტებული ფიქრისა და გრძნობის უკუდავი ნაშობია, ვაჟა კი ცირიფილი პოეტური გრძნობა, გრძნობა მთების უბეში აღზრდილი, გრძნობა ამ მთების კალთებისაგან განუშორებული და თავისი ალალ-ბავშვური გულ-წრფელობით და მხატვრული, ხან მძლავრი და ხან ნაზი სიმარტივით მზიბდავია.

ამ მთებისაგან აღზრდილ-განვითარებულმა გრძნობამ ვალუშალა პოეტს მშობელ-აღმზრდელის გული, შიგ ჩააბეღინა და მისი სიდიდულობები გააცნო და გულზიარა.

მადლიერი შვილი, ვაჟა მავიერს უბდის თავის მშობელ-მთებსა და, იმათგან „სიკოცხლო-ზიარი“, თვითონაც თავისი გულის სტრეფილი პოეზიას უზიარებს ამ მთებსა და ცოცხლთა დავიყვანებს ხოლმე თვალ წინ. აი როგორ ავღიწერს ვაჟა სალამო ქამს მთიულეთში:—

„დღემ დასუფა ზარ ბაჟ,
„მთებმა დასუქეს თვალები.“

და მკითხველი გრძნობს რომ ეს სურათი ძალდატანებული, ნაჭირები სურათი არ არის, რადგან ვაჟას მთელ შემოქმედებასთან არის შეფერვბულ-შეხამებული. მთები ცოცხლობენ პოეტის თვალ წინ და, მზე რომ ჩაება და ღღეს პირ-ბადე გადახურებმა, ისინიც ადამიანებსავე თვალუმბს ხუჭავენ და იძინებენ. ბუნების ნამდვილი მკვლევრით აღდგენა კი შემ-

დგი ლექსით მიახდინა ვაჟამ:—
 ნისლი-ფიქრია მთებისა, *)
 იმათ კერობის გვირგვინი.
 მიეყარს შეუდრეკს მთი შკერდზე
 სშირის პაღასის ბაიანი,
 ტადის, ობდის ნაყის
 გულს მეგობრეი ხისანი.
 აწიანი დაფრთვაშობენ,
 უფსერულს პუღებენ თვალებს,
 მღღაღან ჩამოქსნან
 თავისგან დასრულ ძვალებსა.
 ღადი შეიღებო მთებისა
 ერთმანეთს ეძრახებან...

ნისლი-ფიქრია მთებისა, გვამცნო პოეტმა, და ამ რამდენიმე სიტყვით ბუნების ღრმა ფილოსოფიუ ვადვივალა თვალ წინ. მხოლოდ ბუნების შვილსა, ბუნების ხორც-შესხმულ საყვარულს შეეძლო ამ სიტყვების ასენარათა გამ ითქმა, ბუნების სულის განხორციელება. დაეკრდიოთ ამ სიტყვების აზრს, ღრმა გრძნობისა და ბუნების წიაღსა შინა აღზრდილ საყვარულის ნაშობსა, და დამეთანხმებით. როგორც ადამიანის სულის სიღრმეში უზილავთ იბადება მისი ადამიანური, საუკუნო და დაუსაბამო ფიქრი და დიდებულ გვირგვინთ დედემის მის მაღალ „კაცობას“, ისე უზილავთ ჩნდება ბუნების სულის სიღრმეში მსუბუქი ნისლი და მაღალ „კაცობის“ გვირგვინთ დედემის დედაშიწის უმაღლეს მთებსა, ბუნების დიდებულ შვილთა. მთების ფიქრია—ნისლია, ნისლი ფიქრსავე მღღღავრე და ფიქრსავე თვითონა-პეროვანი, მასავე ბუნების უზილავ ძალთა, ქვეყნიერების უკუდავი სულის ნაშობი. და განა შეეძლო რამდენიმე სიტყვით ყველა ამის გამოთქმა იმას, ვინც ბუნებასთან არ არის თან-შერდილი სულითა და გულით, ვისაც ბუნების მძლავრია მაჯის ცემა, ბუნების მშობელი სულის მღღღავრება არ გაუმხილა შემოქმედ-დამბადებელის ღრმა სიყვარულმა?!

თვლი გადავლეთ შენეირ მთიან ბუნებას, პოეტის წრფელი სიყვარულის სურათს:—
 „მიეყარს შეუდრეკს მთი შკერდზე
 „სშირის პაღასის ბაიანიო,—

ამბობს პოეტი ისეთა ღრმა-გრძნობიერი გულით, რომ იმავ წამს ჩვენც თავისი სიყვარულის

*) პოემა „პასტრონიანი“.


მოზიარეთა გებდის. ჩვენც გვიყვარს, ჩვენც ეხედვით ჩვენნი გომწობის მხილებით მთის გულ-მკერდზე ხშირ მოზიბინე ბაბასს, ჩვენც გვესმის მთის უდაბურ მკერდზე „ტილის, ობლის ნიაგის გულის შემირაეი სინინი“. ვისაც მთების ბუნება უნაბავს და იცნობს, იმან კარგათ იცის, რომ მთებში ნიაგე განსაკუთრებული ნიაგია, ნიაგე მართლა ტიალი და ობოლი, მთების უდაბურობაში გზა-დაბნეული და გულ-საკულაეთ მოსისინე.

ახლა არწიეთ შეხედეთ, მთების დიდებულ შეილებსა, ვაჟას მთიული ფანტაზიის სიმბოლოათ, რა „სიაშით და ხიხარბით“ შეტყურებს ვაჟა იმათ მეფურსა და თავისუფალ ნაგარდობას! არწიენი ვაჟას ლალი თანამეგამულენი არიან და, ჩვენი პოეტის ფანტაზიასთან ერთად, თავის გულ-კლდოვან სამშობლოს თავს ევლებიან და ზეცით „თათვისკან დაბრულ ძეალებს“ ჩამოშარიან.

ასე გვიხატავს მთიულეთის ღვიძლი შეილი-პოეტი თავისი „შეწინიერი სამშობლო ბუნების საწყარულ სურათს.

ო. ნავაშაი.

(შეზღვეი იქნება).



უცხოეთიდან.

სოფელი და სასიაფლო სკოლა გერმანიაში

II*)

ს. კ. ა. ნ.



ენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს სახალხო სკოლის „დებულებიდან“ 1).

1) ყველა ბავში განურჩევლათ სქესისა და წოდებისა 7 წლიდან 14 წლამდე ვალდებულია სკოლაში იაროს. სკოლაში შესვლის ნება აქვს 6 წლისასაც, თუ კი ფიზიკურათ საქმარისათ განვითარებულია. სკოლის დასრულებას შემდეგ ბავშს შეუძლია ერთი წელიწადი კიდევ დაჩქეს, თუ კი მონსურებს.

) ის. აკკალი № 46.

1) ამ წიგნის სრული სათაურია: „Handbuch für den praktischen Schuldienst in der Ewan-gelischen Volksschulen - Württembergs“. 1890 წ.

2) თუ ბავში გამოცდის დროს საკმარის ცოდნას და განვითარებას ვერ იჩენს, შეიძლება მისი სასწავლებელში დარჩენა მეორე წელიწადსაც.

3) ბავშვა უნდა გაატაროს სასწავლებელში კვირაში 3-1 საათი; პირველ ორ წელიწადს კი მხოლოდ 20 საათი. ამ წლამდის სწავლება შეიძლება არა უმეტეს სავსაათისა შუადღემდის და ორი საათისა ნაშუადღევს; ამ წელს შემდეგ არა უმეტეს 4 საათისა შუადღემდის და სამი საათისა ნაშუადღევს.

4) 10 - 14 წლის ბავშვების სწავლება 1 აბილიდან 1 ოქტომბრამდე ვერ დაიწყება დღით 6 საათამდის და 7 - 10 წლიანთათვის დღის 7 საათამდის. ამ უკანასკნელებს საზოგადოთ სწავლა ეწყება ზაფხულში 8 საათზე, ზამთარში კი 9 საათზე (აგრეთვე იმათაც, ვინც შორს დგანან).

5) თუ ბავში თავის სოფელს მოცილდა და გერმანიის სხვა ადგილს გადავიდა, იქაურთ ადგლობრივი მთავრობა იძულებული ყოფს მას სკოლაში იაროს და ალაისკოლის სკოლის მოვალეობა, როგორც პირველ—დაწყებითისა, აგრეთვე საკვირაო და სხვა გვარი სასწავლებლისა.

6) იმ ბავშვებს, რომელნიც სამუშაოთ დაღიან, სწავლის დრო არ შეუმოკლებათ; ხოლო თუ მშობლები ღარიბნი არიან და ოჯახის გამოსაკვებათ აუცილებლათ ბავშვმაც უნდა იმუშაონ, ამ შემთხვევაში ზაფხულობით სწავლის დრო შეუმოკლებათ და მგერი თავისუფალი დრო მიეცემათ. ზამთრობით ასეთი შეღავათ აკრძალულია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ბავში 12 წლისაა, და 5 წელი სკოლაში უკვე გაუკარგებია და სწავლამაც კოჩალია. თუ ასეთ შეღავათს ნახევარზე მეტი თხოულობს, მაშინ საზოგადოების ხარჯით ზამთარში განსაკუთრებით, ზედ მეტი გაკეთილები უნდა გახსნას, რამ ზაფხულში მოკლდენილი სწავლა შესრულონ.

7) ბავშვის სავაჭროთ ან სახელოსნო მიზნით სოფელ-სოფელ თან-ტარება აკრძალულია. ეს შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ნება დართულ იქნას ადგილობრივი სკოლის ინსპექტორს მიერ.

8) ბავშვის ფაბრიკაში მუშაობა 12 წლამდის სრულიად აკრძალულია. 12 - 14 წლისას შეუძლია დღეში მხოლოდ 6 საათი იმუშაოს, 14 - 16 წლისას კი 10 საათი. ფაბრიკაში მუშაობის ნება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სკოლაში სამსაათს მაინც სწავლობს.

ფაბრიკაში ბავშვების სამუშაოთ აყვანა აკრძალულია, თუ მათ არ წარმოადგინეს პოლიციის მიერ დამოწმებული მოწმობა, სადაც აღნიშნულია მშობლების ნება-რთვა, ბავშვის სახელი და გვარი, წოდებება და სხვ. (Arbeitskarte).

ბავშვების დამკრავებელთა პირველთა ადგილობრივ პოლიციას უნდა მიმართოს განცხადებით, სადაც დაწერილებით ანუხსულია მუშაობის დრო დაწყება, გათავება, დასვენება და სხვ.

13) ყრუ-მურჯ და ბრმათ უნდა მიეცეს შესაფერის სწავლა.

47) თუ ბავში ფიზიკური ან ზეოობრივი ნაკლებუნარიანების მიზეზით სკოლიდან დათხოვილი იქმნა გძელი ვადით, მშობლები ვალდებული არიან ეყრდნუ გავეთაღების საშუალებათ სწავლება განაგრძონ; ამისათვის საზოგადოების თანხიდან შემწეება ეძლევათ.

49) თუ თავისი სოფელში (ან ქალაქში) არ მოიპოვება თავისი საწმუნოების სკოლა (ცენაგელიუარი), მშობლებს ნება აქვთ ადგილობრივ სასწავლებელში შევილი მისცენ, ხოლო ასეთი ნება არა აქვთ მაშინ, თუ თავისი კონფესიის სკოლა საზოლიდან ერთი საათის სავალზე იმყოფება; შეილი უფოთო რქ უნდა ატარონ, თუ კი ბავშვის ჯანმრთელობა მას სიარულის ნებას აძლევს. თუ ასეთ მდგომარეობაში 60 კომლია, საკუთარი სკოლა უნდა გახსნან.

133) მთელი წლის განმავლობაში შეძლება სკოლაში სწავლა მოაქციდნონ არა უმეტეს 45 საქმის დღისა; ამას მივმატება უქმი და დღესასწაული დღეები.

134) სწავლის არა ჩვეუბრივი შეწყვეტა შეიძლება: როცა დილის 9—10 საათზე ჩრდლოში რეორმოლის ტერმომეტრი 20 გრადუს სიტყეს აჩვენებს, როცა სოფელში რაიმე სენი მძვინვარებს, როცა მასწავლებელს სურს მასწავლებელთა რომელიმე კრებას დაესწროს—რისთვისაც მახრის ინსპექტორის ნებათავეა საჭირო, როცა სოფელში რეინსტატის დეპუტატის არჩევა, (მასწავლებელთა ოქმი უნდა შეადგინოს), როცა მასწავლებელი მოამღერალთა წრის წევრია და სურს ვიურტემბერის მოამღერალთა საერთო ყრილობა—დღესასწაულ დაესწროს, როცა მას სურს აგრეთვე ვიურტემბერის (პროტესტანტთა) საეკლესიო მოამღერალთა კრებას დაესწროს.

ეს უკანასკნელი ორი მუხლი, რასაც ვერცელია, ყოველგან ერთნაირათ არ სრულდება. ეს დამაკლებულია ადგილობრივ პირობებისაგან. სახელდობრ: როდის რის მუშაობა; იქ სადაც პურს მუშაობენ კანიკულიტიც სხვა დროს უნდა იყოს, ვინემ იქ სადაც ბალახს თიბენ ან და ხეტყეს აწარმოებენ, აი მაკ; დობელის სკოლა როდის იხურება: 22 ივნისიდან 13 ივლისამდის (ბალახის თიბება); 1—8 სექტემბრამდის (ბალახის მერაჩეთ თიბება); 3—27 ოქტომბრამდის, 24—30 დეკემბრამდის (შობა)—სულ 50 დღე.


ამას მივმატება კერა-უქმე და სხვა-და-სხვა დღესასწაული დღეები, ასე რომ წელიწადში სწავლის დღე რჩება 225.

ყოველნაირი განსაკუთრებითი ცვლილება, სასწავლებლის ასე თუ ისე დაყენება და წაყვანა უწინარეს ყოველისა სკალის ადგილობრივ გამგეობის ხელშია. ასეთი გამგეობა ორ ნაწილა: მასწავლებელთა კონვენტი* (Lehrerkönvent) და სკოლის ადგილობრივი გამგეობა* (Ortsschulbehörde). პირველი შესდგება სკალის მასწავლებლებსაგან (თუ სასწავლებელი ორ და მეტ კლასანია), რომელიც ყოველ სამ თვეში ერთათ შეიყრებიან, ადგილობრივად დედის თავმჯდომარეობით, და სჯიან სხვა-და-სხვა სასკოლო კითხვებს შესახებ. მათ უფლებაში შედის გაკვეთილებს გვემის შედგენა, სასწავლა ნიეთების შემქნა, სკალის დისციპლინა, სწავლების გაუმჯობესება, ახალ ცვლილებათა შემოღება და უმაღლეს მთავრობასთან ამის შესახებ მოხსენების წარდგენა და სხვ. საქმის გადაწყვეტა მძის უმეტესობითა. ერთი სიტყვით, ამთ ექვემდებარება ყველა კითხვა, რომელიც კი პირდაპირ სწავლების საგანს ეხება. უმაღლესი მთავრობის განკარგულება მათ მიერ იცელება ისე, როგორც ადგილობრივი პირობები მოითხოვს, რის შესახებ მოხსენება იგზავნება, სადაც ჯერ არს.

ადგილობრივი ეკლესიის მღვდელი არის იმავე დროს ადგილობრივი სკალის ინსპექტორი (ortssehulinspektor). მას ამისთვის განსაკუთრებითი სასყიდელი არ ეძლევა. აქ ლეღობა იმავე დროს მასწავლებლობასაც ნიშნავს. ხალხს უქადაგებს ეკლესიაში და ბავშვებს ასწავლის სკოლაში. ყველა მღვდელი უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებული (უნივერსიტეტის სალთისმეტყველო ფაკულტეტზე) და პედაგოგიური ცოდნით აღჭურვილი. სკალის სარევიზიოთ, როგორც ინსპექტორი, სასწავლებელში წელიწადში ორჯელ შედის, ხოლო ისე, დასახედათ, ყოველ კვირაში ორჯელ.

სახელმწიფოთა

(შედეგი იქნება)



ოსმალიური ზღაპარი.

(ფრანკულიდან)

დასასრული *)

სიდი ვეზირი იბრაჰიმი განცხრომაში ბძანდებოდა თავის შვენიერ სასახლეში, რომლის წინ მდებარე ბაღი ზღაპრის წებებოდა. იგი გდაწარლილი იყო ღორებზე და თეთრი, ფაფუკი ხელებით ათამაშებდა ქარეის კრალოსას; ცოტა მოშორებით იდგა მაყალი და მისი სუნნელოვანი კვამლი სასიამოვნო ჰაერით ავებდა ოთახს.

უცბ გადწია კარებზე ჩაოფარებული მძიმე ხალისა და გამოჩნდა ალი ფაშა.

იბრაჰიმმა რომ დაინახა ის, ვინც ვეფულებოდა, თუ არ სამუდამოთ, დიდი ხნობით მაინც ციხეში დაშვებული, იგბძრა რომ მას კარგი არა მიელოდა.

— არ მინდა შევიშუოთო შენი უკანასკნელი წუთები, თქვა ცბიერებით ალიმ და კარებშივე შეჩერდა.

იბრაჰიმმა კარკა გაიგო იმ სიტყვების მნიშვნელობა, ის, ვინც ასე მძიმე თავის დაკრით, გამოცხადდა ამას იქნებოდა სიკვდილის განაჩენის გამოძცხადებელი და კალთის ქვეშ უსათუოთ შენახული ექვეზნოდა წითელი აბრეშუმის ზონარი, რომლითაც ჩვეულებრივ სულთანი ასამართლებდა თავის კარის კაცებს. მაგრამ იბრაჰიმმა წარბიც არ შეიკრა, მხოლოდ მისი უსწაუარი თვლები, რომელთაც კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა, ბრჭყვიანედენ მეტა სიტყველით, მან გადისვა თავისი თეთრი ხელები გრძელ წვერზე და დამშვიდებით წამოიხანა:

— ალბათ ალბათა ავერ ინება! მს ბძანებას ვერ წაუვალთ; ჩვენ მისი ფხვთა მტკერი ვართ, ასარულდეს მისი ბძანება. მხოლოდ ერთ წამს დამაკადვი, ეს ჩემი უკანასკნელი თბენაა, მინდა ნამაზი გადავიხადო და ვილოკო. ვიცი შენ კი მუსულმანი ხარ და ჩემ თბენას აქისრულებ. მაშადი თითონ ბძანებს, რომ მომამკედავს უკანასკნელი სურვილი უნდა აუსრულოთო.

— მოდიშა იხიდი თქვეთან დიდებულა ვეზირო, უპასუხა ვადპრით ალიმ, — მე თქვენ უმაღლესი ბძანება ვადპრავციით და ნება არა მაქვს თვალი მოგაშოროთ. არც მოსახერხებელია თქვენი აქედან გასვლა. ვადიხვეუთ ამ ფანჯრიდან, ათას კაცზე მეტი ვიდარავებთ თქვენ. დავუღვთ ყური, არ

გვმით მათი იარაღის ჩხარა-ჩხურა. ისინი სულთანის გამოგზავნილი არიან, თქვენი დარბაზი და დეჩეფენი ვეგსებულია იმათგან. ტყუილია, თავს ვერ უშველი, ვერ ვაძეკევი.

— მე სულაც არ ვეჭვრობ ვაძეკევაზე, მაგრამ საშინელებაა, რომ სიკვდილის წინეთ, კაცი არ გამოვსალმოს თავის საყრდელ კალაშვილს. ნუ გეშინია ალი, დიდ ხანს არ მოვაძეკევირებ, დამძანდი ცოტა ხანს.

იბრაჰიმმა სამჯერ ტაში შემოკრა. ზანგის ორი მონა გამოჩნდა. მათი შავი პირისახე შერისხავან უფრო ჩამავებულიყო. მათ შემოიტანეს ნამაზისთვის საჭირო: ტაშტი, წყალი და ფხეძევემ ვასაშლელი ხალიჩა.

იბრაჰიმმა დამშვიდებით აიწია ხალათის კალთები და შეუღვა ნამაზს. ვინ დაიჯერებდა, რომ რამდენსამე წამს შემდეგ, ამ კაცის თეთრ ჩასუტებულ ყელს საშინელი ზანარი მოექობებოდა დასაბრძოლებით. ამ დროს, ნიშნით საღამო ქამის მოახლოვებისა, მეჩეთის თებზე მოდამ დასძახა თავის მოსაწყინარი ხმით ჩვეულებრივი ლოცვა.

ლოცვის დროს იბრაჰიმმა თავი ჩალუნა. ალიმ საჩქაროთ კალთის ქვეშიდან ამოღო წითელი აბრეშუმის ზონარი და სწრაფათ ჩაუღო ხელში ერთ ზანგს.

ზანგმა თვი დაბარა: ახსნა საჭირო არ იყო, მან ყველავერი ვაგო. უშიშარი მეომარი ალი-ფაშა მთლათ ცახცახებდა, როდესაც აძლედა სასიკვდილო ზონარს, რომელიც, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებოდა, როცა მკედარს მოხსნიდენ ყელიდან. ამას ათასობით მეომარი უნახავს წაქცეული ბრძოლის ველზე, მაგრამ წარბიც არ შეუხრია, ახლა კი საშინლოდ ღვლავედა, რომ წარმოიდგენდა ამ მხარ ბეკიან, წამოსადგე ვაჯაკს, რომელიც რამდენსამე წუთს შემდეგ უსულა ვემათ ვადეკევადა. რა საშინელება ყოფილა ვალათის ხელობა!

* *

ალი ფაშა სხვა-და-სხვა ვეჭვებმა ვაძეკეცს. ამ დროს იბრაჰიმმა ვათათა ნამაზი და ვასწია ნელი ნაბიჯით დავუნილ ხალიჩაზე სალოკვათ. თავი ამპარტანეულათ მალა ეჭირა. ვეზირმა ხელები მალა ალაპყრო, მკლავები ყურებზე მიიფარა, რომ უფრო სასიკვდილ მისცემოდა ლოცვას. მსურვალე ლოცვას ისე შეეპყრო იგი, რომ თითქო ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა და წარმოადგენდა რალე უსულა ქმნილებას, მხოლოდ მისი შავი თვლები გამოიყურებოდენ უფრო ცხოველათ და უსწაურათ ბრჭყვილი ვაქჟონდათ, ამ საღამო ვაით დანეწლებულ ოთახში.

იბრაჰიმის თვლები მაღზე დამტკრებოდენ ალი-

*) ის. აკელი, № 46.

ფაშას. კვლავ გულადი მეომარი კი შემკრთალი და შეწყუბებული ვერ მიმხედვარია თუ ეს სასიკვდილოთ დასჯრილი რატომ ისე არ ლოკულობდა, როგორც ჩვეულებრივ ყველა მუსულმანი. ან რატომ პირი მექქასკენ არა აქვს, როგორც გვიბძანებს ყოჩაღნი!

— ნეტავ ეს თვალები, რომლებიც ამ სიბნელეში ისე ბრწყინავენ, როგორც გალესილი მახვილის პირი, საკუთრივ მე რათ დამშტერებინა.

საბრალო ფაშა, დიდ ხანს არ მოუენდა ამ საიდუმლო გამოცანის ახსნას. იგი ცოტ-ცოტათ ჩაეარდა რაღაც უცნაურ—გაუგებარ სასიამოვნო მდგომარეობაში. „გრძნობდა, რომ მისი გონება, მისი სხეული თითქო შორადებოდა დედა-მიწას და მაღლა ზეტისკენ მიდიოდა. შეენიერი სუნელოვანი პაერი იტაცებდა მალა; სხეული მიუყურდა, გახდა უგრძნობელი; ნელ-ნელა თვალები დაეხუტა და თავი ჩაქინდრა. იქვე ტატზე ჩამოჯდა, მიღო თავი მუთაქაზე და დაიძინა.

იბრაჰიმი ისევ ისე სალოცავათ იდგა და კიდევ დიდ ხანს თავის შემავფოთებელს და შემადრწუნებელს თვალს არ აშორებდა მძინარე ფაშას. ბოლოს იბრაჰიმი წამოდგა ფეხზე და მიუახლოვდა სულთანის გამოგზავნილს: გაუშინჯა თვალის კილოები კაკლები და ნახა რომ ივინი უძრავი იყვენ, როგორც კედლის თვალები.

— ძინავს! წამოიძახა დიდმა ევზირმა სინარულით და აღტაცებით, მერე მიუჯდა გვერდით თავის მსხვერპლს და თვალ-მოუშორებლივ დაიწყო ხმა-მაღლა მოთხრობა შემდეგ ამბისა: სიტყვებს ნელ-ნელა მკაფიოთ ამობოდა, თითქოს უნდოდა აღებეჭდა მსმენელის გონებაში ყველა თავისი სიტყვები.

— როდესაც მე იმას გამოვუცხადე შემადრწუნებელი ამავეი, ჯერ ნაშპი გაკეთა, მერე დიდ ხანს ლოკულობდა; პირი მექქასკენ ჰქონდა. ლოცვა რომ გაათვა ჩამოჯდა ტატზე, გამოართვა ზონარი. ზანგს, თითონვე შემოიხვია კისერზე, გამოანსკვა, ერთი კიდევ უკანასკნელათ გადმოამხედა და გულ-ხელი დაიკრიფა, მერე ანიშნა თავის ზანგებს, იმათაც ერთმა მხარეს გასწია, რაც ლონე ჰქონდა, ზონარი, მეორემ მეორე მხარეს და საშინელი სანახაობა წარმომიდგა თვალ-წინ. ევზირს სახე აუშუქდა, გაეწითლდა, გაულურჯდა, თვალები გადმოუტყინდა და მიანიც არ მაშორებდა თვალს. ჩამავებულნი ენა გადმოავლო; ზანგები უფრო და უფრო ეწეოდნენ თავიანთენ ზონ-

არს. სულის თითქოს არ უნდოდა დედა-მიწას შორებოდა. ზონარი ჩაქეროდა საბრალოს ყელში და უშლიდა სულის ამოსვლას; ერთი საშინლათ დაიკლავნა, უკანასკნელათ შეიფარებოდა, თავი უკან გადადგა, ხელები უძრავათ დაუშვა... გათავდა... ერთმა ზანგმა მოხსნა ზონარი, საშინელი შავი ზოლი ჰქონდა დახნული თეთრ კისერზე! მკედარს წააფარეს ზემოდან ფარაჯა... შენი ბძანება ასრულდა დიდებულო სულთანო!

იბრაჰიმი გაათვა ამავეი, გაწვა ძირს, ტატის წინ, ერთმა ზანგმა წააფარა ფარაჯა, მერე მიუახლოვდა ალი-ფაშას და სახეში ორჯელ შეუტერა.

ალი-ფაშა მაშინვე წამოდგა ფეხზე, მოიფშენი ტა თვალები, მიიხედ-მოიხედა თითქო საშინელ სიზმარშიაო. ზანგმა მძიმე თავის დაკრით მიართვა აბრეშუმის წითელი ზონარი. ამან გამოაფხიზლა სულთანის გამოგზავნილი ჯალათი. თუმცა ზიზღით, ზანგს მარც გამოართვა წითელი ზონარი და საჩქაროთ ქამარში ჩაიკრა, ერთი შეხედვ ფარაჯას ჰქვმ გამოტლი გეგამს, რომელიც ჯერ კიდევ ინძრეოდა და საჩქაროთ კარებისკენ გაეშურა.

— უკაცრავათ დიდებულო, მოითმინეთ.—თქვა ზანგმა და სტაცა ხელი კალთაში,—იქნება გნებავდეთ მისი ნახვა?

— არასოდეს, შე უბედულო!—უთხრა შიშით ალი-ფაშამ,—მგონი ძილი საყუდამოთ დამეკარგოს! მაშინვე გავიდა და ბძანება გასცა, რომ დარავები მოშორებოდნენ იბრაჰიმის სასახლეს;—მკედარს რაღა დარავობა უნდოა, თქვა მან, შეჯდა ტყენზე და პირ-და-პირ წავიდა სულთანის სასახლეში.

— ალოლახმა აპატოის!—წამოიძახა დამშვიდებით იმავ საღამოს მოლუმულმა სულთანმა, როდესაც მისმა ერთგულმა ალი-ფაშამ უამბო დიდ ევზირ იბრაჰიმის სიცილილი.

— მაშ შენ ამბობ, რომ უკანასკნელ წამებში იმან დიდი ტანჯვა გამოიარა?

— საშინელი, თქვენი უფლებულესობავე, უახსუნა ალიმ,—იტყოდით, იმ დაწყვეტილის ერთის მაგიერ შეიღო სული უფდაია. მე თქვენი მოჩილი ყმა და მონა ვახლოვართ, სულთანო, ასჯერ რომ დაკრდეთ, ასჯერვე შემავაწირავთ თავს, ბძანეთ ერთი სიტყვა და ათას მეომარს შეეებრძოლები და ათი ათას თოფ-ზარბაზანს არ მოეცეოდები, მაგრამ

ვეფხისტყაოსნის, კვლავ ნულარ მომანდობ მავ გვარ საქმეს.

— დამწეილდი, ჩემო მამაცო ალი, შენ თხოვნას შეეასრულებ. შენ ჩემი ერთგული მსახური ხარ და იმითმ მოგანდ მავისთანა მძიმე საქმე. ვინ იცის სხვას ხელიდან გასხლტამოდა ის გაიძევა კაცი. ჩვენ ში დარჩეს, საშინელი ცუდლუტი რამ იყო. აღლენხა შეურდოს მას შეცოდებანი. — დამთავრა ღრვა ამოღებრით სულთანმა.

* *

ღამე კარგა გასული იყო, მთვარე ამოფეხა მთებს და მიდამო ჩამოხნილდა. ამ ღრას ბოსფორზე მალეთ, გაჩქარებით მიცურაედა ვურებს გაშლილი პატარა გემი. მის ბანზე იჯდა დიდ ეფენიანთ ნამყოფი იბრაჰიმი, გარშემოარტყმული ცოლუ ით და ურისცივი შეილებით.

— ერთი მითხარ, კადილევ, უთხრა იბრაჰიმმა თავის ერთ-ერთ მოხეტე პალებელს, — დიდა სისულელე არ იქნებოდა ჩემგან, რომ ხუთასი ქისა ფულს-თვის მომკვლარეიყავ. დღესაც კიდევ დაერწმუნდი, რომ ძალიან კარგა მოეტყეო, რომ შენ გიყიდე კაირში. შენ მასწავლე ეგვიპტელ დედაკაცების საიდუმლო, რომ დაშტერებით შეიძლება კაცმა დააძინოს, აღი ფაშასავით, ვინმეები და მიაყუროს თავისი სენილისი. ამის შესწავლა არც აგრე ძნელია, მიკვირს მხოლოთ რომ ასე ცოტა ვინმე ხმარობს ამ ძვირფას საშუალებას. საბრალო აღის დიდრონი მხეცურით თვლებების მიძინება სწორეთ თამაშობათ მიმანია. ურთო არ იქნება შემეტყო, დაუმბა იბრაჰიმმა, — რა სასჯელს მიყენებს მისი უდიდებულესობა, როდესაც ხელ მოინდომებენ ჩემ დამარხვას და ნახვენ როგორ მოეტყეუ. საბრალო აღი! ევ რომ აგრეთთ ერთგული არა ყოფილიყო სულთანისა იმასაც წამოვიყენად ჩემთან. რასაკვირველია, დიდი ეკატერი-ნე მავასაც მისცემდა პოლკოენიკობას, როგორც მე მომცემს ღწერლობას, იგი დიდის საიფიქრებით მიიღებს იმისთანა თათრებს, როგორიც მე ვარ, რომელმაც იცის სათათრეთის ყველა კუნჭული. დაიმედებული იბრაჰიმი გადაწეა ტატუნე და მიეცა ტბილ ძილისა.

— აბა, ძმაო, თქვა ჰამედ. ფაშამ დასარული თუ არა ამბავი: — ახლაც იტყეით, რომ ვიპოტინში, კაცის ჩაგონება, თქვენი, პარჩელებების, მოკონებან?

ან. თ.წ — ისა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთელი.

განცხადება

ქართული თეატრი.

მ. თხზუბათს, 13 ნოემბერს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასისავან საუბაროეი-აბაშიძისა და აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგენილი იქნება:

I

ბედნიეკი დღე

კომედი 4 მოქმედ. თრე. ვ. აბაშიძისა.

II

მშვენიერი ულანს გაქიგულნი

ქარსი 2 მოქ. გ. გ. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფაროეი-აბაშიძისა, ჩერქვენიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, ივანისა და სხე. ბ. აბაშიძე, სემონიძე, გამყრელიძე, გედევანოეი, შათირიშვილი, კანდელაკი, აღმიძე და სხვანი.

ადგილების ფასნი ჩვეულებრივითა

დასაწყისი 8 საათხა

ჩრეისორი. ვ. ს. ალექსიე-შესნიშვილი.

ადმინისტრატორი ვ. შათირიშვილი.

შინაარსნი: ჩვენი გულ-გრადობა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — რესეთის შინაგანი ქრონიკა. — მასა. — ვეალს-კარესპონდენციეზი. — ღმირი შეცოდე, ლექსი ბ. დავითიანისა. — ვ. ე. — ფაშაეულის პოეზია, (შედეგი) ნ. ნავაშისა. — უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლიო სკოლა გერმანიაში, (შედეგი) საზღვარგარეთელისა. — ოსმალური წადარი, (დასასრული) ა. წ. — ისა და განცხადება.

